ოქმი:**ო05. 3724249001**

თარიღი:**05/09/2024**

ოქმი N 5
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ქ. ოზურგეთი

2024 წელი, 4 სექტემბერი

15:00 - 15:30-საათი

თავმჯდომარეობდა: ეროდი გორდელაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ესწრებოდნენ: ვ. ნიჟარაძე, ქ. ვასაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. მახარაძე, გ. კილაძე, გ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ე. გორდელაძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე. აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი სრულად აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დასამტკიცებელი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, არეგულირებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო უბნების შესაბამისად, სააგიტაციო მასალების განთავსებას და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი